

ნიკო მაჟარელიშვილის  
გამოთვლითი მათემატიკის  
ინსტიტუტის

2010 წლის

სამართლის ანგარიში

## შინაარსი

	<b>შესავალი</b>	<b>3</b>
<b>თავი 1</b>	<b>2010 წლის საბიუჯეტო სამუშაო პროგრამები</b>	<b>4</b>
<b>თავი 2</b>	<b>სამეცნიერო გრანტები</b>	<b>6</b>
<b>თავი 3</b>	<b>ძირითადი სამეცნიერო შედეგების მოკლე დასასიათება</b>	<b>7</b>
	<b>გამოთვლითი მეთოდების განყოფილება</b>	<b>7</b>
	<b>ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების განყოფილება</b>	<b>11</b>
	<b>მათემატიკური მოდელირების განყოფილება</b>	<b>14</b>
	<b>ინფორმატიკის განყოფილება</b>	<b>19</b>
<b>თავი 4</b>	<b>მივლინებები</b>	<b>23</b>
<b>თავი 5</b>	<b>დამატებითი ინფორმაცია</b>	<b>23</b>
<b>დანართი 1</b>	<b>2010 წელს გამოქვეყნებული და გამოსაქვეყნებლად გადაცემული ნაშრომები</b>	<b>24</b>
<b>დანართი 2</b>	<b>2010 წელს საზღვარგარეთ და საქართველოში გამარ- თულ სამეცნიერო ფორუმებ- ზე წაკითხული მოხსენებები</b>	<b>27</b>

შესაბალი

სსიპ ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში ამ-  
ჟამად ფუნქციონირებს 4 სამეცნიერო განყოფილება და კომპიუტერული ცენ-  
ტრი. 2010 წლის ბოლოს ინსტიტუტში მუშაობდა 64 თანამშრომელი. აქედან  
სამეცნიერო თანამდებობა უჭირავს 35-ს, რომელთაგან 10 მთავარი მეცნიერ-  
თანამშრომელია, 8 – უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 16 – მეცნიერ-თანამ-  
შრომელი. ინსტიტუტის თანამშრომელთაგან ერთი არის საქართველოს მეცნი-  
ერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, 12 – მეცნიერებათა დოქტორია და 23  
კი – მეცნიერებათა კანდიდატი.

საანგარიშო წლის განმავლობაში ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს 14 ნაშრომი, გამოსაქვეყნებლად გადაცემულია 19 ნაშრომი, მათ შორის მიღებულია გამოსაქვეყნებლად 4 (იხ. დანართი 1). აგრეთვე გამოქვეყნდა ერთი მონოგრაფია და ორი სახელმძღვანელო (იხ. დანართი 1, [34-36]).

საანგარიშო პერიოდში ინსტიტუტი მუშავდებოდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (სესფ) მიერ დაფინანსებული სამი სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი და ერთი ინდივიდუალური გრანტი (იხ. თავი 2).

2010 წელს ინსტიტუტმა მოიპოვა ევროკავშირის მე-7 ჩარჩო პროგრამის გრანტი. გრანტის პროექტზე მუშაობა დაიწყო 1 ნოემბრიდან. გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტთან ერთად პროექტის კონსორციუმის წევრები არიან წამყვანი ევროპული ორგანიზაციები – DFKI, GIRAF (გერმანია), ERCIM (საფრანგეთი), ხოლო საქართველოდან – ვ. ჭავჭავაძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი და არასამთავრობო ორგანიზაცია ICARTI. ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი არის ამ პროექტის კოორდინატორი (იხ. თავი 2).

2010 წელს ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტ-მა, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტთან ერთად ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია – “ინფორმაციული და გამოთვლითი ტექნოლოგიები”, მიღვნილი ინფორმატიკის ქართული სამეცნიერო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლების, პროფესიონელის ელექტრონული და მურმან წულაძის სსოვნისადმი.

ინსტიტუტის თანამშრომლებმა საანგარიშო წელს მონაწილეობა მიიღეს და 46 მოხსენება წაიკითხეს 11 საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელთაგან 9 ჩატარდა საზღვარგარეთ. 10 მოხსენება იქნა წაკითხული 4 ადგილობრივ კონფერენციაზე (იხ. დანართი 2).

# თავი 1. 2010 წლის საბიუჯეტო სამუშაო პროგრამა

## თანამედროვე საინფორმაციო და გამოთვლითი ტექნოლოგიების განვითარება და გამოყენება

### I. პროგრამის აღწერა

პროგრამაში წარმოდგენილია თეორიული და გამოყენებითი ხასიათის პრობლემები, მათი გადაჭრის გზები და მეთოდები. კერძოდ, პროგრამა ითვალისწინებს:

- ეფექტური გამოთვლითი ალგორითმების დამუშავებას ამოცანათა ზოგიერთი კლასისათვის;
- ალგებრულ სტრუქტურებში სტრუქტური ანალიზის მეთოდების შემდგომ განვითარებას;
- ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ამოცანების შესწავლას და გადაწყვეტას მათემატიკური მეთოდების გამოყენებით;
- ინფორმაციის უსაფრთხო გადაცემის, დამუშავების და ადგენის უზრუნველყოფის საკითხებს.

### II. პროგრამის მიზანი

წარმოდგენილი კომპლექსური პროგრამა მიზნად ისახავს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების გაგრძელებას გამოთვლითი მათემატიკის, უსასრულობანზომილებიანი ალბათობის თეორიის, ოპტიმიზაციის თეორიის და ინფორმატიკის მიმართულებებით.

დაგეგმილია ინსტიტუტი არსებული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ეფექტური გამოყენება ქვეყნისათვის აქტუალური რიგი პრობლემების გადასაწყვეტად. ასეთ ამოცანათა რიცხვს, კერძოდ, მიეკუთვნება თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების შესწავლა და განვითარება, პრაქტიკული თვალსაზრისით საინტერესო ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური შინაარსის პრობლემების მათემატიკური და სტატისტიკური კვლევა, გამოთვლითი ალგორითმების დამუშავება მათი პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით.

### III. პროგრამის ამოცანები

ეფექტურად რეალიზებადი გამოთვლითი ალგორითმების აგება ამოცანათა ზოგიერთი კლასისათვის

- კონკრეტული მიახლოებითი სქემების კონსტრუირების, კრებადობისა და ცდომილებათა შეფასების კრიტერიუმები;
- გამოთვლითი პროგრამული პაკეტების შექმნა.

**ალგებრულ სტრუქტურებში ალბათობის თეორიის პრობლემატიკა. გამოყენებები სტოქასტიკურ ანალიზში**

- ნორმალური და მასთან დაკავშირებული განაწილებების დახასიათების ამოცანები ნამდვილი, კომპლექსური და კვატერნიონული სკალარების შემთხვევაში;
- იტოს სტოქასტიკური ინტეგრალის კვლევა უსასრულოგანზომილებიან შემთხვევაში;
- სტოქასტიკური ანალიზის გამოყენება ფუნქციონალურ მწკრივთა კრებადობის საკითხების შესწავლასა და განრიგების თეორიაში.

**ოპერაციათა კვლევის უწყვეტი და დისკრეტული ამოცანების მათემატიკური მოდელირება და შესაბამისი გამოთვლითი მეთოდების დამუშავება**

- მათემატიკური ეკონომიკის ახალი დინამიკური მოდელების შედგენა ანტაგონისტური და კოოპერაციული მიდგომებით;
- მათემატიკური პროგრამირებისა და თამაშთა თეორიის ახალი გამოთვლითი მეთოდების დამუშავება;
- განზოგადებული სპლაინური და განზოგადებული ცენტრალური ალგორითმების დამუშავება, მათი გამოყენება ზოგიერთი პირდაპირი და შებრუნებული ამოცანის მიახლოებითი ამოხსნისათვის;
- ელიფსურ წირებთან დაკავშირებული დისკრეტული ამოცანების შესწავლა და მათი გამოყენება კრიპტოგრაფიაში.

**ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დამუშავება**

- კრიპტოსისტემების გამოკვლევის ახალი მეთოდების დამუშავება, წრფივი ალგორითმების შესწავლა და მათი პროგრამული უზრუნველყოფა;
- გადაწყვეტილების მიღების ახალი მეთოდების დამუშავება არამკაფიო შესაძლებლობათა თეორიის საფუძველზე;
- ფუნქციონალური პროგრამირების ავტომატიზაციის საკითხები;
- დისტანციური სწავლების ავტომატიზირებული სისტემების აგება.

## თავი 2. სამეცნიერო გრანტები

### 1. სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები

2010 წელს ინსტიტუტში მუშავდებოდა 3 სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი და ერთი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტი.

- **პროექტი № GNSF/ST08/3-384:** “მაქსიმალური უტოლობები გადანაცვლებებისთვის, გამოყენებები ფუნქციონალურ ანალიზსა და დაგეგმვის თეორიაში”. ხელმძღვანელი ს. ჩობანიანი. ძირითადი პერსონალი: ა. შანგუა (მენეჯერი), ლ. ჩობანიანი, ვ. ტარიელაძე, გ. გიორგობიანი. პროექტის ხანგრძლივობა – 3 წელი. <http://gnsf.dynup.net/PUBLIC2008/default.aspx>
- **პროექტი № GNSF/ST08/3-390:** ”სინგულარული ინტეგრაციების აპროქსიმაციისა და ფუნდამენტურ ამოხსნათა მეთოდების გამოყენების შესახებ ზოგიერთი კლასის სასაზღვრო ამოცანების მიახლოებით ამოხსნებში”. ხელმძღვანელი ჭ. სანიკიძე. ძირითადი პერსონალი: მ. ზაქრაძე (მენეჯერი), გ. ქუთათელაძე, მ. მირიანაშვილი. პროექტის ხანგრძლივობა – 3 წელი. <http://gnsf.dynup.net/PUBLIC2008/default.aspx>
- **პროექტი № GNSF/FT09\_99\_3-104:** ”ალბათური განაწილებების დახასიათების ამოცანები და მათი გამოყენებები”. ხელმძღვანელი ვ. ტარიელაძე. ძირითადი პერსონალი: ვ. კვარაცხელია (მენეჯერი), ხ. ვახანია, ბ. მამურია, გ. ჭელიძე პროექტის ხანგრძლივობა – 3 წელი. <http://217.147.224.46/PUBLIC2009/default.aspx>
- **დ. უგულავა, სტუ ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტი, აპრილი-დეკემბერი, 2010:** ”აპროქსიმაციის თეორიის საკითხები ლოკალურად კომპაქტურ ჯგუფებზე განსაზღვრულ ფუნქციათა და ზომათა სივრცეებში”.

### 2. საერთაშორისო გრანტები

2010 წლის 1 ნოემბრიდან დაიწყო ევროპავშირის მე-7 ჩარჩო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის №266155 - “საქართველოს ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების მიმართულების ინსტიტუტებში რესურსების შექმნა-აღდგენა” განსახორციელებელი სამუშაოები:

- **Euro Commission Funded Project N 266155:** “Re-creation and building of capacities in Georgian ICT Research Institutes”. FP7 Capacities Work programme 2010; Activity 7.6 Integrating Europe’s neighbours into the ERA; Area INCO. 2010-6.1: Eastern Europe and South Caucasus (კოორდინატორი გ. გიორგობიანი, ძირითადი შემსრულებლები - ვ. კვარაცხელია, ზ. სანიკიძე). პროექტის ხანგრძლივობა – 2 წელი. <http://www.georecap.eu>

## თავი 3. მირითადი სამეცნიერო შედებების მობლე დახასიათება

### გამოთვლითი მეთოდების განყოფილება

(განყოფილების გამგე – მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჭ. სანიკიძე)

**სამეცნიერო თემა – ეფექტურად რეალიზებადი რიცხვითი ალგორითმები  
ამოცანათა ზოგიერთი კლასისათვის**

განყოფილების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ძირითადად მიმდინარეობდა განყოფილების მიმართულებისათვის დამახასიათებელი თემატიკის ფარგლებში და მოიცავდა გამოთვლითი მათემატიკის შემდეგ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს:

1. კოშის ტიპისა და სინგულარული ინტეგრალების აპროქსიმაციასთან დაკავშირებული გამოთვლითი ალგორითმების აგება და შესაბამის რიცხვით ალგორითმებთან დაკავშირებული თეორიული და პროგრამული რეალიზაციის საკითხები. მათი გამოყენება ზოგიერთი კლასის პრაქტიკული ამოცანების რიცხვითი ამოხსნისათვის. კერძოდ, შესწავლილი და რეალიზებულია რიცხვითი სქემა დრეკადობის ბრტყელი თეორიის ერთი კლასის (ლიტერატურაში შერმან-ლაურიჩელას სახელწოდებით ცნობილი) ინტეგრალური განტოლების მიახლოებით ამოხსნისათვის უსასრულო არების შემთხვევაში.

2. საანგარიშო პერიოდში მიღებული იქნა როგორც დასრულებული, ასევე გარდამავალი ხასიათის შედეგები კოშის ტიპის ინტეგრალებისა და მათი წარმოებულების თანაბარი აპროქსიმაციისა და შესაბამისი შეფასებების მიღების მიმართულებით. განიხილებოდა როგორც ჩაკეტილი, ასევე გახსნილი კონტურების შემთხვევები. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ კოშის ტიპის ინტეგრალი ზოგად შემთხვევაში

$$\int_L \rho(t) \frac{\varphi(t)}{t-z} dt, \quad z \notin L,$$

სადაც  $L$ -შეკრული ან გახსნილი წირია, ინტეგრებადი  $\rho, \varphi$  ფუნქციებისა და ფიქსირებული  $z$ -სთვის შეიძლება განხილული იქნეს როგორც ჩვეულებრივი ინტეგრალი (ინტეგრალი შემოსაზღვრული ინტეგრებადი ფუნქციიდან) და, ამრიგად, მისი მიახლოებითი გამოთვლისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს სათანადოდ არჩეული კვადრატურული ფორმულა. მაგრამ იმ შემთხვევებში, როდესაც  $z$  მიისწრაფვის  $L$  კონტურის წერტილებისაკენ, საჭიროა ამა თუ იმ ხასიათის სპეციფიკური მიდგომა. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ კოშის ტიპის ინტეგრალის წარმოებულები მიიყვანება კლასიკური გაგებით კოშის ტიპის ინტეგრალებზე, მათი განხილვა საწყისი სახით გაცილებით უფრო ეფექტურია მიახლოებითი გამოთვლისა და შესაბამისი დაფუძნების პროცესის თვალსაზრისით (თუნდაც გამოსავალი კონკრეტული სიმკვრივეების დიფერენცია-

ლური თვისებებიდან გამომდინარე). ამ მიმართულებით მიღებული ზემოაღნიშნული შედეგები გადაცემულია გამოსაქვეყნებლად.

ზემონათქამი არსებითად უკავშირდება კოშის ტიპის ინტეგრალებს ჩაკეტილი კონტურების შემთხვევაში. რაც შეეხება დია კონტურების შემთხვევას, აქ იგულისხმება შესაბამისი ინტეგრალები ნამდვილი დერძის მონაკვეთებზე. ამ მიმართულებით მიღებულია შედეგები, რომლებიც გამოიხატება გაუსის ტიპის (სიზუსტის თვალსაზრისით) ფორმულების შემოყვანაში აღნიშნული ინტეგრალების თეორიაში და სათანადო შეფასებებში. ამ ტიპის ფორმულებს აქვთ გამოყენებითი მნიშვნელობა დრეკადობის თეორიის საკითხებში, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ მიმართულებით ცნობილია ამოცანები, რომელთა ამოხსნები ეფუქტურად გამოისახება ასეთი სახის ინტეგრალებით. (საზოგადოდ, ინტეგრალებში იაკობის ტიპის წონითი ფუნქციებით). შესაბამისი შედეგები მოხსენებული იყო საანგარიშო პერიოდში 6. მუსხლიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ორგანიზაციორობით ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე “ინფორმაციული და გამოთვლითი ტექნოლოგიები”. იმავე საკითხებთან დაკავშირებული შედეგები მოხსენებული იქნა, აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციაზე.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა მუშაობა საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია  $[0, +\infty)$  შუალედზე მოცემული გარკვეული კლასის სინგულარული ინტეგრალების აპროქსიმაციასთან. ასეთ ინტეგრალებს შეიცავენ მაგალითად, ბირთვული ფიზიკიდან ცნობილი ე.წ. ლიპმან-შვინგრის განტოლებები. ზოგიერთი ამ საკითხთან დაკავშირებული გამოთვლითი სქემის შესახებ აღნიშნული იყო წინა წლის ანგარიშში, სადაც მოხსენებული იყო განყოფილებაში დამუშავებული ე.წ. განუსაზღვრელი პარამეტრის მეთოდი. უკანასკნელ დროს მიღებული შედეგები დაკავშირებულია შესაბამისი მეთოდის შემდგომ დაზუსტებასა და გამოყენებასთან, რაც საშუალებას იძლევა აგებული იქნეს გაუსის ტიპის კვადრატურული ფორმულები რაციონალური სინგულარობით, რომელიც სხვა გარემოებებთან ერთად არ მოითხოვს ლექანდრის მეორე გვარის ფუნქციების ნულების მიახლოებით განსაზღვრას. შესაბამისი შედეგები ჯ. სანიკიძისა და მ. მირიანაშვილის ავტორობით გამოქვეყნებულია მიმდინარე საანგარიშო წელს.

საანგარიშო წელს მიმდინარეობდა მუშაობა საინსტიტუტო თემატიკისა და საგრანტო პროექტით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზეც, რასთან დაკავშირებითაც გამოქვეყნდა ორი სამეცნიერო სტატია მ. ზაქრაძის, ზ. სანიკიძის და 6. კობლიშვილის ავტორობით. აღნიშნული საკითხები ეძღვნება თავისუფალი ზედაპირის მქონე ერთგვაროვანი და იზოტროპული დრეკადი სხეულის დინამიკური მდგომარეობის განსაზღვრის ალგორითმს დროის სასრულინებული მდგრადზე. განხილულია შემთხვევა, როცა დრეკადი სხეულის აღნიშნული მდგომარეობა გამოწვეულია მის ფიქსირებულ წერტილში მოდებული მარტივი შეცემისული ძალის მოქმედებით. აგებულია სათანადო რიცხვითი ალგორითმი, რომლის რეალიზაცია დაფუძნებულია ფუნდამენტალურ ამოხსნათა მეთოდზე. შემოთავაზებული ალგორითმის ეფუქტურობის საილუსტრაციოდ განხილულია მაგალითი. შემდეგ, მოცემულია პარმონიული ფუნქციისათვის დირიხლეს

სამგანზომილებიანი გარე სასაზღვრო ამოცანის ალბათური მეთოდით ამოხსნის ალგორითმი. ნაჩვენებია დასმული ამოცანის მიახლოებითი ამოხსნისათვის აღნიშნული მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა. სიმარტივისა და სიზუსტის საილუსტრაციოდ ასევე განხილულია კონკრეტული მაგალითი.

მრავალშრიანი კონფოკალური ელიფსური ძელისათვის ცხადი სახით ამოხსნილია სენ-ვენანის ამოცანები. ამასთან დაკავშირებით ერთი სამეცნიერო სტატია გადაცემულია გამოსაქვეყნებლად ჟურნალ AMIM-ზი, ხოლო მეორე მომზადებულია დასაბეჭდად.

შესწავლილია კონუსური ფორმის მქონე ფენოვანი გარსების, როგორც კონსტრუქციის ელემენტების, არაწრფივი დეფორმაციის ამოცანა. აღნიშნული კლასის ამოცანების რიცხვითი ამოხსნისათვის დაზუსტებული თეორიის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ძვრის დეფორმაციების არაერთგვაროვნებას გარსის სისქის გასწვრივ, მიღებულია ზემოხსენებული კლასის ამოცანების ამომხსნელი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა. აგებულია შესაბამისი ალგორითმი კერძო მაგალითების რიცხვითი რეალიზაციისათვის. ამასთან დაკავშირებით მიმდინარე საანგარიშო წელს გამოქვეყნებულია ერთი სტატია.

მიღებული იქნა, აგრეთვე, საინტერესო შედეგები, რომლებიც ეძღვნება ე.წ. ფიზიკური ველების მეორადი დაკვანტვის პრობლემატიკას. როგორც ცნობილია, სტანდარტული თეორიის მიხედვით მეორად დაკვანტვას ექვემდებარება მხოლოდ ჰარმონიული ოსცილატორი (წრფივი განტოლების შემთხვევა). ასოციატური ალგებრით საანგარიშო შედეგების მიხედვით განხილული იქნა დაკვანტვა ჰიპერკომპლექსურ რიცხვებში, რაც საშუალებას იძლევა მოიხსნას აღრე არსებული გარევეული შეზღუდვები. დამტკიცებული იქნა, აგრეთვე, მეორადი დაკვანტვის შესაძლებლობა ასოციატიურ (დირაკის მატრიცების) ალგებრაში. წამყენებულია აგრეთვე, ახალი ენერგეტიკული ნაკადების მოძიებასთან დაკავშირებული სამეცნიერო სამუშაოები. ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა მონოგრაფიაზე სახელმწიფოდ “Введение в неассоциативную теорию поля”, რომელიც გამოქვეყნდება ახლო მომავალში.

განყოფილებაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა გრძელდებოდა, აგრეთვე, საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია დიფერენციალურ განტოლებათა ე.წ. ალგებრულ თეორიასთან. აღნიშნული თეორიის ის პრინციპები, რომლებიც განყოფილებაში აღრეულ წლებშიც მუშავდებოდა, აღწერილია ველის თეორიის მოძრაობის ტერმინებში და შესაბამისი შედეგები გადმოცემულია მონოგრაფიაში, რომელიც, უახლოეს ხანში გამოქვეყნდება.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე განყოფილების თანამშრომლობა ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის მკვლევართა ერთ ჯგუფთან, რომლის მიზანია გარკვეული კლასის გამოყენებითი ხასიათის არაწრფივ ამოცანათა მიახლოებითი ამოხსნის სქემების აგებისა და შესაბამისი შეფასებების საკითხების შესწავლა.

საანგარიშო პერიოდში განყოფილების თანამშრომლებთა მიერ სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნდა 5 ნაშრომი (იხ. დანართი 1 [1-5]).

აგებულია გაუსის ტიპის ერთი რიცხვითი სქემა ლიპმან-შინგერის განტოლებისათვის. მოცემულია სქემის სათანადო გამოკვლევა [1].

მოცემულია თავისუფალი ზედაპირის მქონე ერთგვაროვანი და იზოტროპული დრეპარატი სხეულის დინამიკური მდგომარეობის განსაზღვრის ალგორითმი დროის სასრულ ინტერვალზე [2].

მოცემულია ჰარმონიული ფუნქციისთვის დირიხლეს სამგანზომილებიანი გარე სასაზღვრო ამოცანის ალბათური მეთოდით ამოხსნის ალგორითმი [3].

განხილულია გარკვეული მაღალი რიგის კომპაქტური სასრულ სხვაობიანი სქემა ჰელმიტოლცის განტოლებისათვის ნეიმან-დირიხლეს სასაზღვრო პირობით მართულებული შეფასება ენერგეტიკული დისკრეტიზაციის ცდომილების შეფასება ენერგეტიკული ფორმით, რომელიც თავსებადია საძიებელი ამონახსნის სიგლუვესთან [4].

დრეპარატი ფენოვანი ბრუნვითი გარსებისათვის ღერძსიმეტრიული დეფორმაციის შემთხვევაში მიღებულია ამომხსნელი სისტემა შესაბამისი არაწრფივი განტოლებებისათვის. ჩატარებულია ექსპრიმენტაციური რიცხვითი ანალიზი კონკრეტული ბრუნვითი გარსების მაგალითებზე [5].

საანგარიშო პერიოდში განყოფილების თანამშრომელთა მიერ გამოსაჭვეშებლად გადაცემულია ოთხი სამეცნიერო სტატია (იხ. დანართი 1, [15-18]). სამეცნიერო ფორუმებზე განყოფილების თანამშრომლებმა წაიკითხეს 11 მოხსენება (იხ. დანართი 2 [1-6, 22, 33, 34, 47, 54]).

### სახელმწიფო-სამეცნიერო გრანტის GNSF/ST08/3-390 ანგარიში

საანგარიშო პერიოდში განყოფილების თანამშრომელთა ერთი ჯგუფის მიერ მუშავდებოდა სესფის მიერ დაფინანსებული სახელმწიფო-სამეცნიერო გრანტი #GNSF/ST08/3-390 ”სინგულარული ინტეგრალების აპროქსიმაციისა და ფუნდამენტურ ამოხსნათა მეთოდების გამოყენების შესახებ ზოგიერთი კლასის სასაზღვრო ამოცანების მიახლოებით ამოხსნებში”.

შესაბამისი გეგმის მიხედვით განყოფილების მუდმივმოქმედ სემინარზე მოსმენილი იქნა შემსრულებელთა სამეცნიერო მოხსენებები. გამოქვეყნებული და გამოსაქვეყნებლად გადაცემული იქნა რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ერთი – გეგმით გათვალისწინებული სათვლელი პროგრამა. გრანტის ხელმძღვანელისა და თანამონაწილეთა მიერ წაკითხული იქნა სამეცნიერო მოხსენები როგორც თბილისში ორგანიზებულ, ასევე საზღვარგარეთ გამართულ სამეცნიერო ფორუმებზე.

2010 წელს სახწავლო პროცესში ჩართული იყო განყოფილების სამი თანამშრომელი:

- ზ. სანიკიძე, ე. აბრამიძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- მ. მენოვაშვილი – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

## შემთხვევით პროცესთა თეორიისა და გამოყენებითი სტატისტიკის განყოფილება

(განყოფილების გამგე – მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-  
მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი – ვ. ტარიელაძე)

**სამეცნიერო თემა – ალგებრულ სტრუქტურებში ალბათობის თეორიის  
პრობლემატიკა. გამოყენებები სტოქასტიკურ ანალიზში**

საანგარიშო წელს განყოფილებაში გრძელდებოდა ალბათური განაწილებების კვლევა ალგებრულ სტრუქტურებში (კვატერნიონების ტანი, ოპერატორთა სივრცეები, აპროქსიმაციული რიცხვები, მეტრიზებადი ტოპოლოგიური გექტორული სივრცეები, კოტიპი 2-ის მქონე სივრცეები, შვარცის სივრცეები და ჯგუფები, გრაფები, კონოიდები). გარდა ამისა, აგრეთვე გრძელდებოდა შემთხვევითი მწკრივების კრებადობისა და დიდ რიცხვთა კანონების შემდგომი შესწავლა. ეს თემატიკა მჭიდრო კავშირშია განყოფილების საგრანტო თემატიკასთანაც. ამ მიმართულებით მიღებული შედეგების ნაწილს ასახავს შემდეგი ნაშრომები:

ნაშრომში [6] ნაჩვენებია, რომ გაუსის განაწილების პოიასეული დახასიათების პირდაპირი ანალოგი არ არის მართებული კვატერნიონების შემთხვევაში.

ნაშრომში [7] ნაჩვენებია, რომ ნებისმიერ ორგანზომილებიან ბანახის სივრცეში არსებობს გექტორთა ერთობლიობა  $x_1, x_2, \dots, x_n, n \geq 1$ , რომლისთვი-

$$\text{საც } \min_{\pi} \max_{1 \leq k \leq n} \left\| \sum_{i=1}^k x_{\pi(i)} \right\| \text{ გამოსახულების შეფასება "ხარბი" ალგორითმის გამოყენებით არ არის ოპტიმალური.}$$

ნაშრომში [8] დამტკიცებულია აბელ-შტოლცის თეორემის ანალოგი ოპერატორულ-კოეფიციენტებიანი მწკრივებისათვის ბანახის სივრცეში.

სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმებზე განყოფილების თანამშრომლებმა წაიკითხეს 12 მოხსენება, რომლებშიც ანონსირებულია რამდენიმე ახალი შედეგი. კერძოდ: შემოღებულია სილვესტრის მატრიცის ერთი რიცხვითი მახასიათებელი და ნაპოვნია მისი ზუსტი მნიშვნელობა; აღწერილია ინტეგრებადი ფუნქციის სხვადასხვა რიგის მომენტებს შორის კავშირი; შესწავლილია სუბგაუსის შემთხვევითი სიდიდეების თვისებები; შემოთავაზებულია გექტორთა კომპაქტური შეჯამების ამოცანაში ოპტიმალური გადანაცვლების პოვნისა და შეფასების ეფექტური ალგორითმული მეთოდი; აგებულია შემთხვევითი მწკრივის მაგალითი, რომელიც განშლადია ყველა გადანაცვლებისათვის, ხოლო მისი კერძო ჯამები და მწკრივის ელემენტები საშუალო კვადრატული აზრით კრებადია ნულისკენ.

საანგარიშო პერიოდში განყოფილების თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულია 3 და გამოსაქვეყნებლად გადაცემულია 7 სტატია (აქედან მიღებულია დასაბეჭდად 4) (იხ. დანართი 1 [6-8, 19-25]). სამეცნიერო ფორუმებზე წაკითხულია 12 მოხსენება (იხ. დანართი 2 [7, 8, 23-25, 35-37, 48-51]).

განყოფილებაში მუშაობს ორი მუდმივმოქმედი სემინარი ნ. ვახანიას, ვ. ტარიელაძის და ს. ჩობანიანის ხელმძღვანელობით.

### სახელმწიფო-სამეცნიერო გრანტის GNSF/ST08/3-384 ანგარიში

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა მუშაობა სესფ-ის მიერ დაფინანსებულ სახელმწიფო-სამეცნიერო გრანტზე #GNSF/ST08/3-384 ”შაქსიმალური უტოლობები გადანაცვლებებისთვის, გამოყენებები ფუნქციონალურ ანალიზსა და დაგეგმვის თეორიაში”. ამ მიმართულებით 2010 წელს გამოქვეყნდა 1 სტატია და გამოსაქვეყნებლად გადაცემულია 3 სტატია, რომელთაგან იბეჭდება 2 (იხ. დანართი 1, [7, 20, 21, 23]). საგრანტო ჯგუფის წევრებმა წაიკითხეს სამი მოხსენება სამ სამეცნიერო ფორუმზე (იხ. დანართი 2 [7, 36, 51]).

აღნიშნულ შრომებში მიღებულია მაქსიმალური უტოლობა ბანახის სივრცის ელემენტებისათვის, რომელიც რიცხვითი დერძის შემთხვევაში ემთხვევა გარსიას ცნობილ უტოლობას. უტოლობას აქვს მთელი რიგი გამოყენებები ორთოგონალურ მწერივებსა და ანალიზის სხვა საკითხებში. აგებულია კონსტრუქციული ალგორითმი ოპტიმალური გადანაცვლების მოძებნის ამოცანისათვის, რომელსაც აქვს გამოყენებები დაგეგმვის თეორიაში. მიღებულია ნიკიშინის თეორემის განზოგადებები ვექტორული ფუნქციებისათვის.

### სახელმწიფო-სამეცნიერო გრანტის № GNSF/FT09\_99\_3-104 ანგარიში

საანგარიშო პერიოდში დაიწყო მუშაობდა სესფ-ის მიერ დაფინანსებულ სახელმწიფო-სამეცნიერო გრანტზე #GNSF/FT09\_99\_3-104: "ალბათური განაწილებების დახასიათების ამოცანები და მათი გამოყენებები". გაანალიზებულია კვატერნიონული შემთხვევითი სიდიდეების სპეციფიკური თვისებები და დახასიათებულია კვატერნიონული გაუსის შემთხვევითი სიდიდეები კოვარიაციული ოპერატორების ტერმინებში. შესწავლილია შესაბამისი მახასიათებელი ფუნქციების თვისებები. დახასიათებულია ერთობლივად კვატერნიონული სისტემები და გაცემულია უარყოფითი პასუხი შეკითხვაზე – სამართლიანია თუ არა პოიას თეორემის ანალოგი კვატერნიონული გაუსის შემთხვევითი სიდიდეებისათვის, თუ შემთხვევით სიდიდეებთან კოეფიციენტები ზოგთან დაას მარცხნივ, ზოგთან კი მარჯვნივ (დანართი 1 [6, 19], დანართი 2 [23, 48, 49]).

სტოქასტური დიფერენციალური განტოლებისათვის დადგენილია განზოგადებული ამონახსნის არსებობის პირობები, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს სტოქასტური დიფერენციალური განტოლების განზოგადებული ამონახსნის წარმოდგენადობას. ნაპოვნია სტოქასტური ინტეგრალის არსებობის საქმარისი პირობები. განხილულია წრფივი სტოქასტური დიფერენციალური განტოლება. მიღებულია და ცხადი სახით ამოწერილია მისი ამონახსნი შესაბამისი იტოს ტიპის სტოქასტური ინტეგრალის გამოყენებით. გაანალიზებულია როგორც სტოქასტური, ასევე არასტოქასტური განტოლებების შემთხვევა. შესწავლილია ამონახსნის ერთადერთობის საკითხი (დანართი 1 [24], დანართი 2 [50]).

2010 წელს სასწავლო პროცესში ჩართული იყო განყოფილების ხუთი თანამშრომელი:

- ნ. ვახანია, ვ. კვარაცხელია – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ს. ჩობანიანი – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET, სტატისტიკის და ეკონომიკის კურსი);
- გ. ჭელიძე – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ა. შანგუა – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

## მათემატიკური გოდელირების განყოფილება

(განყოფილების გამგე – მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-  
მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. უგულავა)

**სამეცნიერო თემა – ოპერაციათა კვლევის უწყვეტი და დისკრეტული ამო-  
ცანების მათემატიკური მოდელირება და შესაბამისი გამოთვლითი მეთო-  
დების დამუშავება**

2010 წელს განყოფილებაში სამეცნიერო კვლევები მიმდინარეობდა შემ-  
დეგი მიმართულებებით:

**1. ოპერაციათა კვლევის უწყვეტი და დისკრეტული ამოცანების მათემა-  
ტიკური მოდელირება და შესაბამისი გამოთვლითი მეთოდების დამუშავება.**

ამ მიმართულებით დამუშავებულია შემდეგი საკითხები:

ა) მათემატიკური ეკონომიკის ახალი დინამიკური მოდელების შედგენა  
ანტაგონისტური და კოოპერატიული მიღებით (ჯ. გიორგობიანი, მ. ნაჭევ-  
ბია). შედგენილია კონკურენტული ბაზრის დინამიკური მოდელები. დამუ-  
შავებულია მათემატიკური ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანის –  
დუოპოლის დინამიკური მოდელები. ესაა ბაზარი, რომელსაც უტაკობრივად  
ემსახურება ორი მეწარმე (გამყიდველი), ხოლო მოთხოვნა განისაზღვრება  
ერთი ან რამდენიმე წვრილი მომხმარებლით (მყიდველით). პროდუქცია ერთ-  
გვაროვანია და მისი ზღვრული დანახარჯები მუდმივია. პროდუქციის ფასი  
საზოგადოდ წრფივადაა დამოკიდებულია ბაზარზე შემოტანილი საერთო  
პროდუქციის რაოდენობაზე. მოთხოვნა ეტაპებზე შეიძლება იყოს ფიქსირებუ-  
ლი ან შემთხვევითი – ცნობილი განაწილების ფუნქციით. მეწარმეებს ყოველ  
ეტაპზე შემოსაზღვრული საკუთარი რესურსებიდან ბაზარზე გააქვთ პროდუქ-  
ციის გარკვეული რაოდენობა და დებულობებს შესაბამის მოგებას. ეს მოგება  
დამოკიდებულია ორივე მეწარმის მიერ შემოტანილი პროდუქციის რაოდენო-  
ბაზე. საბოლოო მოგება თითოეულისათვის განისაზღვრება ეტაპებზე მიღებუ-  
ლი მოგებების ჯამით. მათემატიკურად ამოცანა აღიწერება როგორც 2 ან 3  
პირის თამაში. ეს დამოკიდებულია მყიდველის მდგომარეობაზე. თუ მყიდველი  
ფიქტიური მონაწილეა, როგორც მრავალი წვრილი მომხმარებლის დროს, მა-  
შინ გვაქვს 2 პირის თამაში. თუ მყიდველი ეწ. “მთავარი მოთამაშეა”- გარიგე-  
ბა მის გარეშე არ ხდება და საქმე გვაქვს 3 პირის თამაშთან. ორი მოთამა-  
შის შემთხვევაში განხილულია ანტაგონისტური და კოოპერატიული მიღება,  
სამის შემთხვევაში – მხოლოდ კოოპერატიული. ანტაგონისტური ვარიანტი  
აღწერილია პოზიციური თამაშით და იძებნება წმინდა სტრატეგიებში. კო-  
ოპერატიულ თამაშებში ამონახსნები იძებნება ნეშის და შეპლის არბიტრა-  
ჟულ სქემებზე დაყრდნობით. რიცხვითი რეალიზება ეფუძნება თამაშთა თეო-  
რიის, მათემატიკური დაპროგრამების და დინამიკური დაპროგრამების მეთო-  
დებს.

ბ) მათემატიკური პროგრამირების და თამაშთა თეორიის ახალი გამოთვლითი მეთოდების დამუშავება (ჯ. გიორგობიანი, მ. ნაჭყებია, ლ. ხაჭაპურიძე, ნ. მეტონიძე). დამუშავებულია მატრიცულ თამაშთა ამოხსნის ახალი იტერაციული მეთოდი, რომელიც ეყრდნობა კაჩმაჟის იდეას. ალგორითმი წარმოადგენს განტოლებათა შესაბამის პიპერსიბრტყებზე თანმიმდევრული დაგეგმილებით მიახლოებას პიპერსიბრტყეთა საერთო წერტილისაკენ. ( $m \times n$ ) მატრიცულ თამაშთა ამოხსნა მიიყვანება პირველი მოთამაშის შერეული სტრატეგიით წარმოდგენილი  $n$ -რაოდენობის  $m$ -პიპერსიბრტყების და ( $m-1$ ) განზომილების ფუნდამენტური სიმპლექსის საერთო წერტილების ქვედა მომვლების მაქ-სიმუმის პოვნაზე. ანალოგიური ამოცანა ისმება მეორე მოთამაშისათვის. ეს ორი პროცესი (ქვემოდან და ზემოდან) იკრიბება საერთო ზღვრისაკენ, რომელიც წარმოადგენს თამაშის მნიშვნელობას. შედგენილია პროგრამები Matlabb-ის გარემოში. პრაქტიკული შედეგები შთამბეჭდავია. მეთოდი საზოგადოდ განეკუთვნება ე.წ. სწრაფდაშვების მეთოდთა ჯგუფს. კრებადობის სიჩქარე თეორიულად დადგენილი არ არის.

გ) სოციალური და ეკონომიური ხასიათის ამოცანების მოდელირება (ჯ. გიორგობიანი, მ. ნიკოლეიშვილი, თ. ხუროძე). ჩატარებულია გარემოს დაბინძურებისა და გულსისხლძარღვთა დაავადებათა კორელაციური და რეგრესიული კავშირების გამოკვლევა. რისკის ფაქტორის შესაფასებლად საარქივო მასალების და ჩატარებული მონიტორინგის მონაცემების მიხედვით შეიქმნა ქ. თბილისის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის და მეტეოროლოგიური მონაცემების კომპიუტერული ბაზა. შედარებულ იქნა თბილისისა და დუშეთის მეტეოროლოგიური მონაცემები (პაერის ტემპერატურა, მზის რადიაცია, პაერის იონიზაცია, სტაბილური და სუსტი ნისლის განაწილება დროში) 2009-10 წლებში და მიღებულია ალბათურ-სტატისტიკური დასკვნები პაერის დაბინძურებასა და ადამიანის ჯანმრთელობას შორის დამოკიდებულების შესახებ. შესწავლილია კორელაციური კავშირები და ჩატარებულია რეგრესიული ანალიზი რადიაციის ინტენსივობასა და დანარჩენ პარამეტრებს შორის. ჩატარებულია თბილისის მოსახლეობის გულსისხლძარღვთა დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობების და პაერის ეკვივალენტურ-ეფექტური ტემპერატურის მონაცემების შედარებითი ანალიზი. შემოთავაზებულია, თუ როგორ იქნას გამოყენებული პაერის ეკვივალენტურ-ეფექტური ტემპერატურის დადგენილი სკალა ადამიანის ჯანმრთელობაზე მისი ზემოქმედების ხარისხის შესაფასებლად (სამუშაო სრულდება გეოფიზიკის ინსტიტუტთან ერთად).

დამუშავებულია მთიანი რეგიონის ოპტიმალური განვითარების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი (სამუშაო სრულდება აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტთან ერთად). მთიანი რეგიონის ოპტიმალური განვითარება მსოფლიოს ყველა მთიანი ქვეყნის პრიორიტეტული მიმართულებაა. ის განსაკუთრებით პრიორიტეტულია საქართველოსათვის, სადაც მცირე ტერიტორიაზე ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებათა დიდი მრავალფეროვნებაა; სახნავი ფარობი 3 გრადუსზე ნაკლები დახრილობით შეადგენს 63 პროცენტს, აქტუალურია ეროვნული პროცესები, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ეკონომიკურ განვითარებას. ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდისათვის კომპლექსურად უნდა გადაწყდეს ეკონომიკური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული და სხვა მნიშვნელო-

ვანი პრობლემები. შექმნილია ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი, რომელ-შიც აღნიშნული ფაქტორები ასახულია პირობების (შეზღუდვების) სახით. ოპტიმალობის კრიტერიუმად აღებულ იქნა რეგიონის წლიური შემოსავლის მაქსიმუმი. საჭირო ეკონომიკური პარამეტრების შეფასება-პროგნოზირება და მოდელის პრაქტიკული რეალიზების ანალიზი საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ მთიანი რაიონების ეკონომიკური პროცესების დინამიკა.

## 2. დისკრეტული ამოცანების კვლევა ელიფსური წირების თეორიის გამოყენებით (ნ. განდელაკი, დ. უგულავა, თ. ჩანტლაძე)

დამუშავებულია ელიფსური წირების თეორიასთან დაკავშირებული დისკრეტული ამოცანების გარკვეული საკითხები. დისკრეტული ამოცანები ეფუძნებიან არითმეტიკას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი საგანი არის დიოფანტეს განტოლებათა, ანუ რაციონალურ კოეფიციენტებიან პოლინომიალურ განტოლებათა რაციონალური ამოსსნების შესწავლა. დადგენილია კავშირი ზოგიერთ ასეთი განტოლებასა და იმ ელიფსურ წირებს შორის, რომლებიც დაკავშირებული არიან ე.წ. განზოგადებულ  $\theta$ -კონგრუენტულ რიცხვებთან. დადგენილია ნატურალური რიცხვის განზოგადებულად  $\theta$ -კონგრუენტულობის აუცილებელი და საკმარისი პირობები. შესწავლილია კავშირი განზოგადებულად  $\theta$ -კონგრუენტულობასა და განხილული კლასის ელიფსური წირების რანგს შორის.

## 3. ოპტიმალური, განზოგადებული სპლაინური და ცენტრალური ალგორითმები და მათი გამოყენება ოპერატორული განტოლებების მიახლოებითი ამოსსნისათვის, (დ. ზარნაძე, მ. თუთევრიძე, დ. უგულავა).

სპლაინის ცნება განზოგადებულია ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც პრობლემის ელემენტთა ერთი სიმრავლის ნაცვლად მოცემულია პრობლემის ელემენტების სიმრავლეთა კლებადი მიმდევრობა. მიღებულია განზოგადებული სპლაინის არსებობის აუცილებელი და საკმარისი პირობა ნებისმიერი არაადაპტური 1 კარდინალობის მქონე ინფორმაციისათვის. განხილულია მდგრადობის საკითხი ჰილბერტის სივრცეში არაკორექტული ამოცანისათვის, რომელ შიც შემავალი ოპერატორი არის თვითშეუდლებული, მკაცრად დადგბითი, კომპაქტური, არა ურთიერთცალსახა და მკვრივი მნიშვნელობათა არით. ამოცანის გადატანა გარკვეულ ფრეშეს სივრცეში გვაძლევს სტაბილური განზოგადებული ამონასსნის აგების შესაძლებლობას. განზოგადებული სპლაინის ცნების საშუალებით განიმარტება განზოგადებული სპლაინური ალგორითმი. გარდა ამისა, შემოგვაქვს განზოგადებული ცენტრალური ალგორითმის ცნება. დადგენილია პირობები, რომელთა შესრულების შემთხვევაში განზოგადებული სპლაინური ალგორითმი არის წრფივი და განზოგადებული ცენტრალური. მიღებული შედეგების გამოყენებით ჰილბერტის სივრცეში განხილული დადებითი ოპერატორის შემცველი განტოლებებისათვის მიიღება სტაბილური ამონასსნები გარკვეულ ფრეშეს სივრცეებში. ისინი აგრეთვე გამოიყენება რადონის ოპერატორის შებრუნებისათვის, რაც მნიშვნელოვანი ამოცანაა კომპიუტერული ტომოგრაფიის მათემატიკურ თეორიაში.

შემუშავებულია ოპტიმალური ალგორითმები SAP ERP საინფორმაციო სისტემის სხვადასხვა ტრანზაქციებისათვის, რაც მიღწეული იქნა მონაცემთა ბაზის ცხრილების ერთმანეთთან INNER JOIN ინსტრუქციის გარეშე დაკავშირების და შუაზე გაყოფის მეთოდის გამოყენების ხარჯზე. აღნიშნული მიღმომა 70%-ით ამცირებს პროცესორის დატვირთვას და ხშირად სტანდარტულ ტრანზაქციაზე უკეთესად მუშაობს.

2010 წელს განყოფილების თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს 2 ნაშრომი (იხ. დანართი 1 [9, 10]):

სტატიაში [9] სპლაინის ცნება განზოგადებულია ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც პრობლემის ელემენტთა ერთი სიმრავლის ნაცვლად მოცემულია პრობლემის ელემენტების სიმრავლეთა კლებადი მიმდევრობა. მიღებულია განზოგადებული სპლაინის არსებობის აუცილებელი და საკმარისი პირობა ნებისმიერი არაადაპტური 1 კარდინალობის მქონე ინფორმაციისათვის.

სტატიაში [10] განხილულია მდგრადობის საკითხი არაკორექტული ამოცანისათვის პილბერტის სივრცეში, რომელშიც შემავალი ოპერატორი არის თვითშეუდლებული, მკაცრად დადებითი, კომპაქტური, არა ურთიერთცალსახა და მკვრივი მნიშვნელობათა არით. ამოცანის გადატანა გარკვეულ ფრეშეს სივრცეში გვაძლევს მდგრადი განზოგადებული ამონასსნის აგების შესაძლებლობას.

განყოფილების ორი თანამშრომელი მონოგრაფიების თანაავტორია (იხ. დანართი 1 [35, 36]):

ნაშრომში [35] განხილულია ქვეყნის სოფლის მეურნეობის დარგთა გაადგილებისა და სპეციალიზაციის, მათი შეთანაწყობისა და განვითარების რეგიონული ეკონომიკური და ტექნოლოგიური პრობლემები თანამედროვე პირობების გათვალისწინებით. გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის ფაქტიური მდგომარეობა და განსაზღვრულია სასოფლო – სამეურნეო წარმოების რეალური სპეციალიზაცია, დარგთა და კულტურათა ოპტიმალური შეთანაწყობა. დადგენილია ოპტიმალური პროგნოზული მახასიათებლები. მ. ნიკოლეიშვილის წვლილი აღნიშნული პრობლემის დამუშავებაში განისაზღვრა დასმული ამოცანების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის დამუშავებაში, შესაბამისი ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზირებასა და პერსონალურ კომპიუტერზე მოდელის პრაქტიკული რეალიზაციის განხორციელებაში, ასევე მიღებული შედეგების ანალიზსა და საბოლოო ეკონომიკური პარამეტრების დადგენაში.

